მღებავი

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:
მღებავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

მიზანი: მშენებლობაში ნებისმიერი სამშენებლო პროცესი, მათ შორის სამღებრო სამუშაოები, არ შეიძლება წარიმართოს შრომის უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვის გარეშე. აღნიშნულ უფლებრივ ნორმებსა და წესებში დეტალურადაა გაწერილი ის მოთხოვნები და ვალდებულებები, რომელიც მკაცრად უნდა დაიცვან მშენებლობაზე დასაქმებულმა მაღალკვალიფიციურმა მღებავებმა.

პროგრამის მიზანია, მომავალ სპეციალისტს, მღებავს, მისცეს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტებისა და პრინციპების თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები. კერძოდ, სტუდენტს შეასწავლოს: სამუშაო ობიექტის შეფასება და სამუშაო პროცესის დაგეგმვა; სამღებრო ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევა - მომზადება; სხვადასხვა ზედაპირების (ლითონის, რკინის, ბეტონის, აგურის, ხის, ბუნებრივი ქვის) დამუშავება - შეღებვა ფერიანი და უფერო საღებავებით; თბოსაიზოლაციო მასალებთან მუშაობა; ინტერიერში საშპალერო სამუშაოების შესრულება; ზედაპირებზე დეკორაციების შექმნა და შეღებვა დეკორატიული საღებავებით; მომავალი სპეციალისტები აღჭურვოს პროფესიული და ტრანსფერული უნარებით.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სამუშაო ობიექტის შეფასება და სამუშაო პროცესის დაგეგმვა
- თბოსაიზოლაციო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების ჩატარება
- ინტერიერსა და ექსტერიერში შესაბამისი მეთოდოლოგიისა და მასალების გამოყენებით სამღებრო სამუშაოების ჩატარება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:
მღებავის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელ პირს შეუძლია დაიწყოს შრომითი საქმიანობა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სამშენებლო ობიექტებზე, ან იყოს თვითდასაქმებული.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა: 65** კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 11 სასწავლო თვე

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. შპს. კნაუფ გიფს თბილისი
2. შპს. ანაგი
3. შპს. შარაგზა მშენი
4. შპს. ორბი გრუფი
5. შპს. გზა
6. შპს. MTS